მეხუთე დამარცხება

დნეპროპეტროვსკი. “მეტეორის” სტადიონი. 28 ივლისი.

“დნეპრი” (დნეპროპეტროვსკი) _ “დინამო” (თბილისი) _ 2:1 (0:0).

“დნეპრი”: სობეცკი, ფედორენკო, დენეჟი, ივანოვი, არტიუხი, გრინკო (პორკუიანი), შნეიდერმანი, ბოგდანოვი, პოლიპჩუკი, ნაზაროვი, რომანიუკი.

“დინამო”: გოგია, ძოძუაშვილი, ჭელიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, გავაშელი, პეტრიაშვილი, ყიფიანი, გუცაევი, გ. ნოდია (რეხვიაშვილი), ლ. ნოდია.

მსაჯი: ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

დუბლიორები _ 3:1 “დინამოს” სასარგებლოდ.

თბილისის “დინამოს” კრიზისი გრძელდება. აი, უკვე რამდენი ხანია ჩვენმა ფეხბურთელებმა ვერ შეძლეს მობილიზება და ხელიდან გაუშვეს საუკეთესო შესაძლებლობანი, რომლებიც წლევანდელ ჩემპიონატში ჰქონდათ.

ძნელია ბრალი დასტო კონკრეტულად რომელიმე რგოლს ან მოთამაშეს. დინამოელებმა ყველამ ერთად, თითქოს შეთანხმებულანო, მოუკლეს თამაშის კლასს და ფარ-ხმალი დაყარეს. ბოლო ხანებში შექმნილი უმძიმესი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა დნეპროპეტროვსკში დებიუტანტთან წაგების შემდეგ, თუმცა ანგარიში თბილისელებმა გახსნეს.

ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას თავდასხმის თამაში. ჯერ ერთი, გატანილი გოლების მიხედვით თბილისის “დინაო” ერთ-ერთი ყველაზე უკბილოა უმაღლეს ლიგაში. ამას გარდა, ჩემპიონატის ბოლო რვა მატჩში თბილისელებმა სულ 3 ბურთის გატანა შეძლეს მეტოქეთა კარში. ასეთი “აგრესიულობით” შორს ვერ წახვალ. საერთოდ, ჩვენი გუნდის თავდამსხმელებზე თუ ვილაპარაკებთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ მათი პირადი მაჩვენებლები ძალიან სუსტია. “დინამოს” მიერ გატანილი 17 ბურთიდან 9 ეკუთვნის უკანა ხაზების მოთამაშეებს და მხოლოდ 8 _ წმინდა თავდამსხმელებს. მათ დნეპროპეტროვსკის მატჩშიც საფუძვლიანად “დაისვენეს” და ბურთის გატანა ძოძუაშვილს “მიანდეს”.

მაგრამ თავდამსხმელებს არსებითად არც სხვა ხაზების მოთამაშეები სჯობიან. საერთოდ, გუნდის ბრძოლისუნარიანობა, ფეხბურთელთა ნებისყოფა მეტისმეტად დაბალ დონეზე დგას. ეს ერთხელ კიდევ ნათლად გამოჩნდა “დნეპრთან” მატჩში, რომელსაც 76-ე წუთამდე ვიგებდით და ამ პატარა დროში არათუ ხელიდან გავუშვით გამარჯვება, მორიგი, რიგით მეხუთე წაგებაც ვიწვნიეთ. ძოძუაშვილმა ანგარიში გახსნა 55-ე წუთზე და, ნაცვლად იმისა, რომ ბრძოლა ამ შედეგის განმტკიცებისთვის წარმართულიყო, დინამოელებმა მთლიანად დათმეს ინიციატივა, რომანიუკს და შნეიდერმანს საშუალება მისცეს გამარჯვება მოეტანათ თავიანთი გუნდისთვის.

თბილისის “დინამოს” მთელი კოლექტივი სამართლიან საყვედურს იმსახურებს ფეხბურთის მოყვარულთაგან. რესპუბლიკის მთელი სპორტული საზოგადოებრიობისგან. გუნდის თითოეული წევრი უნდა ჩაუფიქრდეს შექმნილ მდგომარეობას, ყველაფერი გააკეთოს სამარცხვინო ჩამორჩენის გამოსასწორებლად.

“ლელო”, 30 ივლისი, 1972 წ.